**ადრესატი:**

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222995**
თარიღი: **26/10/2022**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირმა მგელაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის**

**ოქმი**

**მუნიციპალიტეტის დასახელება -** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

**შეხვედრის ადგილი -** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა

**შეხვედრის ჩატარების თარიღი -**21.10. 2022 წელი 14:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახა ასკურავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს წევრი გივი ცინცაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი **ნიკოლოზ კოზანაშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია** და მოწვეული პირები.

**საკრებულოს წევრი ირმა მგელაძე** მიესალმა მოწვეულ სტუმრებს, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, მხარდაჭერისთვის არჩევნებში, მათი დამსახურებაა რომ საკრებულოს წევრია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ამომრჩეველს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ის არის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

დამსწრე საზოგადოებას მიმართა, რომ პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ერიდებიან შეხვედრებზე დასწრებას. მან ისაუბრა გასულ წლებში მის მოღვაწეობაზე, როდესაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიის თავმჯდომარე იყო. ძალიან მწირი ბიუჯეტით ჩატარდა რეფორმები თანაც ძალიან სწრაფად, ბაღებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ასევე მაშინ შეიქმნა ა(ა)იპ „უფასო

სასადილო“. ბაღები იხსნებოდა კერძო სახლებში, რემონტდებოდა როგორც შეეძლოთ, მაგრამ აღსაზრდელების კვების რაციონი საუკეთესო იყო, მშობლები კმაყოფილი იყვნენ.

მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, მაგალითად მამათში 4 აღსაზრდელია და 11 პერსონალი. ქართული ოცნების აქტივისტები დაასაქმეს, რომელთაც სამუშაო გამოცდილებაში „ოცნების კოორდინატორი“ ეწერათ. დღეს გაბერილი შტატებია. ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურმა არ მოგვაწოდა დასაქმებულთა ვინაობები, არჩეულ დეპუტატებს გვეუბნებიან პერსონალური მონაცემიაო. 31 სპეციალისტი ჰყავთ, მეეზოვეებზე არ არის პრეტენზია.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ ნოემბერში, როდესაც საკრებულოს წევრად აირჩიეს 2022 წლის ბიუჯეტი მიღებული დახვდათ. დაირღვა მათი უფლებები და არ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში.

მან დააყენა წინადადება, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახური ყოფილიყო გამართული. სამსახურს ძველი ტექნიკა და აღჭურვილობა აქვს, ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, რაზეც მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს. დიდი ხანია სამსახური გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში და გადაეცათ ერთი სახანძრო მანქანა, გარემონტდა და ამ კუთხით მცირედი მიღწევა მაინც არის.

ასევე მან ისაუბრა ჯანდაცვის კუთხით პრობლემებზე. მისი სურვილია ჯანდაცვის ხელმძღვანელობამ იზრუნოს, გარემონტდეს საავადმყოფოს შენობა და მოაწყოს თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით, რომ მოსახლეობას სხვა ქალაქებში არ მოუწიოთ სიარული.

ირმა მგელაძემ ისაუბრა იმ ცვლილებები შესახებ, რომელიც მისი ინიციატივით განხორციელდა აუტისტური სპექტრის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბენეფიციარებთან დაკავშირებით.

ასევე განაცხადა, რომ მართალია ქალაქის ტერიტორია მოწესრიგდა, მაგრამ რკინიგზის სადგურის ტერიტორია მოუწესრიგებელია, სოფლების სადგურები ფაქტობრივად ნანგრევებია. რკინიგზის დეპარტამენტი წელს მომგებიანი გახდა და ველოდებით შედეგებს.

დეპუტატმა ირმა მგელაძემ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მობრძანებისთვის. აღნიშნა, რომ პრობლემების შემთხვევაში დაუკავშირდნენ და აუცილებლად შეეცდება გამონახოს დახმარების გზები.

პატივისცემით,

ირმა მგელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი